

განათლების პოლიტიკა ენობრივ და კულტურულ თვითმყოფადობათა ჰარმონიული თანაარსებობის სპექტრში ტარასი შავშიშვილი

საქართველოს განათლების სამინისტრო, მინისტრის მრჩეველი უცხო ენების სწავლების დარგში

ანოტაცია

ევროსაბჭოში შემავალი ქვეყნების მრავალსახეობა ამ სივრცეში პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებელია. ამდენად ცხადია, ენობრივი საგანმანათლებლო პოლიტიკა საერთო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი ერთ-ერთი უპირველესი მიზანია ევროპულ საზოგადოებაში დემოკრატიული, მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება.

ევროსაბჭოს ლინგვისტურ პოლიტიკაზე მომუშავე სექტორის დასკვნით, ენობრივი მრავალსახეობა ორ განსხვავებულ ფენომენს - “მულტილინგვიზმს” და “პლურილინგვიზმს” შეიცავს. მულტილინგვიზმი მოიაზრება როგორც გეოგრაფიული ფენომენი - მოვლენა, როდესაც ერთ გეოგრაფიულ ზონაში ერთზე მეტი სალაპარაკო ენა ან დიალექტი ფუნქციონირებს. პლურილინგვიზმი ეწოდება მოვლენას, როდესაც ადამიანებს მრავალ ენაზე ლაპარაკი შეუძლიათ. პლურილინგვიზმი სოციალური მახასიათებელია.

საქართველო ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოა, რაც იმას ნიშნავს, რომ “პლურილინგვიზმი”, უახლოეს მომავალში, მისი პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად იქცევა. პლურილინგვიზმის ქვაკუთხედი ურთიერთცნობა და ურთიერთაღიარებაა. იგი კომპლექსური ცნებაა და არსებითად, გულისხმობს ნებისმიერი ენობრივ-კულტურულ თვითმყოფადობის ცნობა-აღიარებას, რაც ფაქტობრივად აღზრდის და განათლების მეშვეობით ხორციელდება. ამდენად, პლურილინგვიზმი პედაგოგიკის კვლევის სფეროა ორი ასპექტით:

- 1) პიროვნების აღზრდის თვალსაზრისით;
- 2) განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით;

ამ მიმართებით ევროსაბჭოს მასალებში აქცენტი კეთდება უცხო ენების სწავლების პრიორიტეტულ მიმართულებებზე, ამ მიმართულებების რეალიზაციის მეთოდებსა და ხერხებზე.

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა, სხვა კომპონენტების რეფორმირებასთან ერთად, მოიცავს უცხოური ენების სწავლების სტანდარტის შექმნას, რომელიც გაითვალისწინებს დასავლურ საგანმანათლებლო-ლინგვისტურ ორიენტაციებს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი, ულტრათანამედროვე მიმართულებაა პლურილინგვიზმი.

ევროპა და ევროსაბჭოში შემავალი წევრი სახელმწიფოები მრავალენოვანია. ეს არის ამ სივრცეში პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებელი. ამდენად, ენობრივი საგანმანათლებლო პოლიტიკა საერთო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი ერთ-ერთი უპირველესი მიზანია ევროპულ საზოგადოებაში დემოკრატიული, მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება.

ერთა და კულტურათა თანაარსებობა კაცობრიობის ისტორიაში ახალი მოვლენა არ არის, მაგრამ თანამედროვე სამყაროში ეს თანაარსებობა მანამდე არნახული სისწრაფითა და მასშტაბით ვითარდება. გარდა ამისა, წინა ეპოქებში არ იცნობდნენ თანამედროვე

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. საქართველოს განათლების სამინისტროში გამართულ ერთ-ერთ სემინარზე აღინიშნა, რომ ამ ორი მოვლენის თანხვედრამ წარმოქმნა საშიშროება, რომელიც კულტურათა, ტრადიციათა, ცნობიერებათა თვითმყოფადობას ემუქრება; ეს არის აბსტრაქტული უნივერსალიზმისა თუ მახინჯად გაგებული კოსმოპოლიტიზმის სახელით ყველას და ყველაფრის გაერთგვაროვნება. ამ საშიშროებისგან თავდაცვამ, თავის მხრივ, მეორე საშიშროება წარმოშვა: კარჩაკეტილი პარტიკულარიზმი. ორივე პოზიცია ერთ საწყისზე დგას - არა-მეს, უცხოს, განსხვავებული თვითმყოფადობის არცნობა, არ აღიარება (თ. ჯაყელი). როგორ გავხადოთ შესაძლებელი თვითმყოფადობათა სიმრავლის ჰარმონიული თანაარსებობა ერთ სივრცეში? ამ კითხვას ევროსაბჭო **პლურილინგვიზმის** დანერგვა-განვითარებით პასუხობს. ეს მიმართულება ევროპაში ორიოდ წლის წინ გამოიკვეთა.

ევროსაბჭოს ლინგვისტურ პოლიტიკაზე მომუშავე სექტორის დასკვნით, ენობრივი მრავალსახეობა ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებულ ორ ფენომენს შეიცავს, E“მულტილინგვიზმსა” და “პლურილინგვიზმს”.

- **მულტილინგვიზმი** არის მოვლენა, როდესაც ერთ გეოგრაფიულ ზონაში ერთზე მეტი სალაპარაკო ენა ან დიალექტი ფუნქციონირებს. ასეთ გეოგრაფიულ ზონაში მცხოვრებ მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფს შეიძლება მხოლოდ ერთ ენაზე მეტყველება შეეძლოს (ევროსაბჭო, 2001).

- **პლურილინგვიზმი** ეწოდება მოვლენას, როდესაც ადამიანებს მრავალ ენაზე ლაპარაკი შეუძლიათ. მაშასადამე ეს არის მონოლინგვიზმის (ერთენოვნების) საწინააღმდეგო მოვლენა. პლურილინგვიზმი სხვა ენებთან ერთად მშობლიურ ენასაც მოიცავს (ევროსაბჭო, 2001).

ამრიგად, მულტილინგვიზმი მოიაზრება, როგორც გეოგრაფიული ფენომენი, ხოლო პლურილინგვიზმი სოციალური მახასიათებელია. ამ თვალსაზრისით, პლურილინგვიზმი უშუალო კავშირშია პიროვნების აღზრდასთან.

ცნობილია, რომ პედაგოგიკა აღზრდას სამ კომპონენტად ყოფს: **სწავლება, განათლება და აღზრდა ვიწრო გაგებით**. პლურილინგვისტურად აღზრდის პროცესში ინდივიდმა უნდა ისწავლოს ენები, გაეცნოს სხვადასხვა კულტურას, აღიზარდოს - გამოუმუშავდეს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.

სწორედ აქ განიხილება პლურილინგვიზმი პედაგოგიკურ ჭრილში ორი ასპექტით:

1) პიროვნების აღზრდის თვალსაზრისით, რაც უშუალოდ პედაგოგიკის კვლევის საგანია.

2) განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით, ვინაიდან: ქვეყანა თავის პოლიტიკას განათლების სფეროში განახორციელებს განათლების სისტემის საშუალებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა, ანუ სკოლამდელ, ყველა ტიპის სკოლისა და სკოლის გარეშე სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებათა ერთიანობას. მათი მართვა და ფუნქციონირება პედაგოგიკის კვლევის საგანია. ამასთან, განათლება, როგორც პროცესი და შედეგი ასევე პედაგოგიკის კვლევის საგანია.

პლურილინგვისტური კომპეტენცია კომპლექსური ხასიათისაა. ის სხვადასხვა ცოდნა-ჩვევათა და უნარ-ჩვევათა ნაკრებია. იგი ინდივიდისგან მოითხოვს რამდენიმე ენის ცოდნას და ამ გზით მოპოვებულ სათანადო კულტურულ გამოცდილებას (*Division des politiques linguistiques*. 2002).

პლურილინგვიზმი, რასაკვირველია, უწყვეტი განათლებით ხასიათდება. იგი პიროვნებაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვითარდება. ინდივიდი შეისწავლის ენებს და შეიძენს კულტურულ კომპეტენციებს სიცოცხლის სხვადასხვა მომენტში, სხვადასხვა საჭიროებისა თუ მიზნის მიხედვით.

შესაბამისად, პლურილინგვიზმი ვრცელდება არა მხოლოდ საშუალო და უმაღლეს სასკოლო სისტემებზე, არამედ უწყვეტი განათლების ინსტიტუტებზეც. მისი კონცეფცია დამოუკიდებელი მოქმედების ფართო საშუალებებს გვთავაზობს: "ჩვენი მიზანია ევროპელებს შევთავაზოთ ისეთი ხერხები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ გახდნენ *პლურილინგვისტურები*, იმ გეოგრაფიული ზონების მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ისინი ცხოვრობენ" (guide pour l'elaboration des politiques linguistiques educatives en Europe. 2002). მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში, საქართველო შეიმუშავებს და განახორციელებს იმგვარ საგანმანათლებლო ენობრივ პოლიტიკას, როგორც მისი გეო-პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობისთვის იქნება სახარბიელო.

ევროსაბჭო პლურილინგვიზმს განიხილავს, როგორც პედაგოგიკურ ისე პოლიტიკურ სპექტრში. ვინაიდან მასთან დაკავშირებული პოლიტიკა, ანუ საგანმანათლებლო ენობრივი პოლიტიკა ასევე პედაგოგიკის კვლევის საგანია (*Version de synthese. Conseil de l'Europe. 2002*). თუმცა ამ მოვლენას წმინდა პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. ეს გახლავთ საბოლოო ანუ ძირითადი მიზანი. ჩნდება კითხვა - თუკი პლურილინგვიზმის ძირითადი მიზანი პოლიტიკურია, მაშ რატომ უნდა განიხილებოდეს იგი პედაგოგიკურ ჭრილში? პასუხის გასაცემად საჭიროა, ზოგადი სახით განვიხილოთ ევრო-საბჭოს მიერ შემუშავებული პლურილინგვიზმის მიზნები და ამოცანები.

პოლიტიკური მიზანი:

დემოკრატია და სოციალური ინტეგრაცია (*ევროსაბჭო*).

პედაგოგიკური ამოცანა:

უნარი და შესაძლებლობა ენობრივი რეპერტუარის გამოყენებისა უმთავრესია დემოკრატიული, სოციალური და საბოლოო ჯამში, პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობის მიღებისას (*ევროსაბჭო*).

მიზანი:

პროფესიული და ეკონომიკური რეალიზაცია, ადამიანური კაპიტალის განვითარება (*ევროსაბჭო*).

ამოცანა:

პლურილინგვისტური აღზრდა აუცილებელი მომენტია ინდივიდუალური მოტივაციის პროფესიულ თუ ეკონომიკურ ასპექტში. ასევე ერთერთი ხელშემწყობი მომენტია საქონლის, ინფორმაციისა და ცოდნის მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი ცირკულირებისა (*ევროსაბჭო*).

მიზანი:

მოქალაქეთა ცნობიერებაში საზოგადოებრივი და ეროვნული შემწყნარებლობის განვითარება (*ევროსაბჭო*).

ამოცანა:

პლურილინგვისტურად აღზრდის პროცესში ინდივიდი შეეხება მისთვის უცხო, განსხვავებულ ენასა თუ კულტურას, აზროვნების განსხვავებულ ფორმებს (*ვეროსაბჭო*), რის შედეგადაც იგი უფრო გამოკვეთილად გაიაზრებს საკუთარ ეროვნულ თუ პიროვნულ თვითმყოფადობას და განსხვავებული სამყაროსადმი მეტად შემწყნარებელი გახდება.

მაშასადამე, სახელმწიფოს პლურილინგვიზმთან მიმართებაში წმინდა პოლიტიკური მიზნები გააჩნია, რომელთაც უთუოდ პედაგოგიკური ამოცანები დაერთვება. ეს ამოცანები მიზნის მისაღწევ საშუალებებად მოიაზრება. პლურილინგვისტური ცოდნა-ჩვევა აღზრდის პროცესში მოიპოვება. ამდენად, ამოცანის ქმედითუნარიანობას პედაგოგიკა განაპირობებს, ხოლო ქმედითი ამოცანა მიზნის საიმედო საყრდენია.

ამრიგად, პლურილინგვიზმი მართებულად მიიჩნევა პედაგოგიკის კვლევის სფეროდ (*De la diversité linguistique à l'éducation plurilingue. Commission Européenne, 2002*).

პლურილინგვიზმის ქვაკუთხედი ურთიერთცნობა და ურთიერთაღიარებაა. იგი კომპლექსური ცნებაა და, არსებითად, გულისხმობს ნებისმიერი ენობრივ-კულტურული (რაკი ენა და კულტურა განუყოფელი ცნებებია) თვითმყოფადობის ცნობა-აღიარებას. სწორედ ეს არის, ჩვენი აზრით პრიორიტეტული საჭიროება, რომელიც უცხო ენის სწავლებამ უნდა გაითვალისწინოს, ანუ ენის სწავლება-სწავლამ მთავარ მიზნად პლურილინგვიზმის განვითარება უნდა დაისახოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენის სწავლება-სწავლის მეშვეობით მოსწავლეს უნდა

- გაულვივდეს ენების შესწავლის სურვილი;
- განუვითარდეს ენების დამოუკიდებლად და ქმედითად სწავლის უნარი (ენის თვითშესწავლა);
- განუვითარდეს, როგორც საკუთარი, ისე უცხო თვითმყოფადობის დაფასების და პატივისცემის უნარი.

ამასთანავე, მან უნდა

- აღიქვას კულტურათა და ენათა მრავალფეროვნება, როგორც სიმდიდრე;
- გაიდგას ფესვი საკუთარ თვითმყოფადობაში, რათა არ მოყვეს ერთგვაროვნების წამლევავ პროცესში; გაუქრეს შიში უცხოსა თუ განსხვავებულის მიმართ და არ აღიქვას ეს უკანასკნელი, როგორც ფენომენი, რომელიც მის თვითმყოფადობას ემუქრება (უცხოური ენების სწავლების კურიკულუმი, თ. ჯაყელი. 2003).

ენის თვითშესწავლა ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პლურილინგვიზმის განვითარებისათვის. თვითსწავლა 4 ძირითად სასწავლო ოპერაციას გულისხმობს:

- პირადი საჭიროების მიხედვით მისაღწევი მიზნების დადგენა
- რესურსების შერჩევა
- შესაფერისი სტრატეგიების მისადაგება-გამოყენება
- თვითშეფასება

აღზრდელითი მიზნის გარდა, ენის სწავლას პრაგმატული მიზანიც აქვს. მისი ცოდნა იძლევა კომუნიკაციის საშუალებას უცხოეთის კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ სამყაროსთან; აადვილებს საერთაშორისო ურთიერთობებს და მისაწვდომს ხდის ინფორმაციის ინტერნაციონალურ წყაროებს.

ჩვენმა ქვეყანამ დასავლური პოლიტიკური ორიენტაცია აირჩია, რამაც განათლების სისტემა ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა. სწორედ ამაზე მეტყველებს საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროცესი. იგი სხვა კომპონენტების რეფორმირებასთან ერთად მოიცავს უცხოური ენების სწავლების სტანდარტის შექმნას, რომელიც გაითვალისწინებს დასავლურ საგანმანათლებლო-ლინგვისტურ ორიენტაციებს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი, ულტრათანამედროვე მიმართულებაა **პლურილინგვიზმი**.

სახელმწიფო სტანდარტი კი, სახელმძღვანელოების შექმნისა და დაწესებულებებში სასწავლო პროცესის წარმართვის საფუძველია.

განხორციელებადია თუ არა პლურილინგვიზმის მიზნები? რამდენად ძალუძს საზოგადოებას მისი მოთხოვნებისა და ნორმების დაკმაყოფილება?

“პლურილინგვიზმი განხორციელებადია,” - ვითხოვობთ სახელმძღვანელოში “საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებისთვის” (ევროსაბჭო 2002). სახელმძღვანელოს შემდგენლები ფსიქოლოგიურ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა მონაცემებზე დაყრდნობით თვლიან, რომ შესაძლებლობას განაპირობებს ადამიანის ათვისების უნარი და პედაგოგიკური პრინციპების გათვალისწინება, სწავლების მეთოდისა და სასწავლო სტრატეგიების ეფექტურობა. მართლაც, “ენების ევროპის პორტფოლიოში” მრავლად არის მოცემული უცხოური ენების სწავლების მეთოდი საშუალო და უმაღლესი სკოლებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდში პლურილინგვიზმის განვითარებას.

ევროპის განვითარებული ქვეყნების სასწავლო დაწესებულებები დიდ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებასა და ინდივიდში მრავალენოვნების განვითარებას. ეს სასწავლებლები მოიძიებენ საუკეთესო კადრებს უცხოურ ენასა და ლიტერატურაში; ამარაგებენ მათ საჭირო ინფრასტრუქტურით; ხელს უწყობენ უცხოური ენების სწავლების სექტორებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში (*direction generale education et culture, C. E. 2001*).

“მრავალენოვნების ცოდნა-ჩვევა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევა უმთავრესი ელემენტებია. ეს ელემენტები სასკოლო კადრის (იგულისხმება მოსწავლე და მასწავლებელი) ხარისხიანობას განსაზღვრავს,” - ვკითხოვობთ ევროსაბჭოს განათლების კონცეფციაში. ეს დებულება ასახვას პოულობს ამავე ორგანიზაციის სარეკომენდაციო დოკუმენტში სასწავლო დაწესებულებებისთვის, სადაც მიუთითებენ, რომ, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს უნდა მიეცეთ საშუალება განავითარონ თავისი ენობრივი კომპეტენცია. უმაღლეს სკოლაში ეს უნდა მოხდეს გაცილებით ფართო მასშტაბით, ვიდრე საშუალო განათლების სისტემაში. სასწავლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ კადრების ენობრივი მომზადება, აგრეთვე მოტივაცია. მათ ლინგვისტური კომპეტენციის ამაღლება უნდა შეეძლოს უცხოეთში, შესასწავლი ენის შესაბამისად. სწავლება უნდა მიმდინარეობდეს სულ მცირე ერთი სასწავლო პერიოდის (სემესტრი) განმავლობაში. საზღვარგარეთ სწავლის შედეგად კადრებს მიეცემათ სათანადო ლინგვისტური და ინტერკულტურული მომზადება, რასაც ისინი აქტიურად გამოიყენებენ სასკოლო და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რაც შეეხება უმაღლეს სკოლას, კერძოდ, დაწყებით საუნივერსიტეტო კურსებს (1-2 კურსი), სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში

საზღვარგარეთ მიიღონ ენობრივი მომზადება. ენების სპეციალიზებული სწავლება სტუდენტს ამზადებს მისთვის საჭირო ლიტერატურაზე სამუშაოდ. ხოლო ენის სპეციალისტები შესაბამის მომზადებას გაივლიან (*Apprentissage des langues dans l'enseignement superieur, C. E. 2002*).

სასწავლებლები ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მათი სახელმწიფო ენის უცხოელთათვის სწავლებას. მუდმივად ყურადღების ცენტრშია სახელმწიფო ენის, როგორც მშობლიურისა და ასევე, როგორც უცხოური ენის სწავლების განვითარება. სასწავლო სექტორები მოიწვევენ მოსწავლეებს (იგულისხმება სტუდენტებიც) სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო დაწესებულებიდან და უზრუნველყოფენ მათ ენობრივ და კულტურულ მომზადებას.

უცხოური ენების სწავლა ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, განსხვავებული მენტალობების, განსხვავებული ღირებულებების აღმოჩენას. მართლაც ლინგვისტური მონაცემები გარკვეულ სოციალურ-კულტურულ რეალობას ეფუძნება. ამდენად, ლინგვისტური კომპეტენციის განვითარება გულისხმობს ინტერკულტურულ კომპეტენციასაც - ეს არის უნარი, გაიგო განსხვავებული კულტურა, მიიღო სხვა ისეთი, როგორც არის; გაიხსნა მის მიმართ მხოლოდ ისე, რომ არ მოწყდე საკუთარ კულტურულ ფესვს (*უცხოური ენის სწავლების კურიკულუმის შექმნის ჯგუფი, თ. ჯაყელი, ტ. შავშიშვილი, თ. ერისთავი*).

ენების სწავლება განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასკოლო კადრის მაღალკვალიფიციურობას. ამდენად, ენების სწავლების მაღალი ხარისხი სასწავლო დაწესებულებათა მაღალ აკადემიურობაზე მეტყველებს.

ლიტერატურა:

- 1 პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. ი. ჭკუასელი, 1976
- 2 Didactique des langues etrangeres. Paul Cir, 1998
- 3 Laproduction ecrite. Claudette Cornaire, 1999
- 4 Les auto-apprentissages. Marie-Jise Barbot, 2001
- 5 Guide pour l'elaboration des politiques linguistiq\ues educatives en Europe, conseil de l'europe, 2002
- 6 formation professionnelle, Politiques des langues, 2003

მიღებულია: 14.06.2003